

მეტროს ჰერბი

ლიტერატურა,
ხელოვნება,
პრიტიკა.

კვირა
2 ივნისი.

ფასი 10 კ.

№ 3.



ორშაბათის საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

„თეზი“

რედაქცია და კანტორა: Тифлисъ Редакція газ. „ТЕМИ“.

გაზეთი სდგას პარტიათა გარეშე გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით. როგორც

1911 და 1912 წელს.

ის ხელისმომწერლები, რომელნიც ამ ხანად გადისდიან გაზეთის წლიურ ფასს მიიღებენ

მ რ კ რ ე მ ი ა ს

1. ს. აბაშელის ლექსთა კრებულს ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ზ. ივანე ზომარათ-
ლის კრიტიკული წერილით..

2. კ. მაყაშვილის ლექსთა კრებულს ავტორის სურათით და ბიოგრაფიით.

ფასი გაზეთისა: წლიურად—2მ. 50 კაბ.; ხახვეარ წლით—1 მ. 25 კ. ერთი თვით—25 კ.
რედაქტორ-გამომცემელი ზ. დიასაშვილი.

რუსული ჟურნალი

გაეოღის 19 მაისიდან

ქუთაისი კაზაკოვის შესახვევი.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

შოველთვიურ ჟურნალ

„განთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და შოველთვიურ ჟურნალ

„შინაურ საქმეებზე“

წელიწადი მეხუთე
წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორი-
ვესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავ-
ლებლებს ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა. ორივე გამო-
ცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. დვ. ს. მჭედლოძე.

ი. გრიშაშვილი.

სხივთა წიკმა

გაიღმა ცის ვარსკვლავებმა, ცის ვარსკვლავებმა გაიღმა და ზღვის ფიცარს, ლაყვარდ ფიცარს, დაყარა სხივთა წიკმა....

და ზღვის ქაფმაც რა იხილა, რომ ცას ტრემლი წამოსცვივდა ახმაურდა, ათამაშდა, აიწვდა და ალივლივდა.

უფნ კი სულ სხვა ვარსკვლავი ხარ, სულ სხვა... სულ სხვა... სხვა ნაირი: უფნ ღომილი რითმად მტკივა... და ღორჯ წვიმად მთის შაირი.

რითმა იგი ჩემს გულს ერთვის, კით ზღვას სხივი—ვარსკვლავთ სხივი— და მეც ვლივი და მეც მლივი. და მეც ვლივი... და მეც ვლივი...

მას რით მჯობნის მე ზღვა, მითხარ! მას რით მჯობნის ამხსენი: თუ ზღვას სხივი ზედ ვფრქვევა, მეც მეფრქვევა სხივი უნი;

მხოლოდ, იცი, ჩემო, კარგო, იმაშია განსხვავება, რომ ვც ტრემლი უგაა წუთის, ცის ტრემლი კი უკვავება,

იხილეთ

1928

მიწიერი.

ს. აბაშელი.

შენში ვხედავდი მარმარილოს ცივსა მშვენებას,
 ღვთაების ხელით ფიქალ კლდიან გამონაკვეთსა,
 და თაყვანს გცემდი ვით ხილულსა ციურ ჩვენებას,
 ლოცვით გიკმევდი გრძნობას, გულით აღმონაკვეთსა.

მაგრამ მოვსტყუედი: მარმარილოს წმინდა სხეული
 სისხლით აჩქროლდა... და თვალთაგან გამოკრთა ელვა, —
 ვიხილე უცხო ქანდაკება ჩემ წინ მსხვრეული,
 გულში დამკვიდრდა ვნების ალის მტანჯველი ღელვა.

ვგრძნობ—ვერ გაჭფანტავს სულის წყვდიადს ფიქრი მიმქრალი,
 უჩვევ გულისთქმამ მოგიწამლა გრძნობა ანკარა,
 მე შენმა სახემ დამიჩრდილა გონების თვალი,
 ფრთა ჯადოსნური ტყვევნილს სულსა გადააფარა...

შუალამის ეამს ლოცვად მდგარსა შენ მეველინები --
 და რწმენის შუქი ცოდვის ნისლიად გარდამექცევა,
 შავად დამცქერის ცის წიაღი შენავინები
 და ყურს ჩამწივის ჩემი ღმერთის სასტიკი წყევა.

დილის რიყრაყზე ღამის ტანჯვით განაწვალეები,
 როცა მივაპყრობ მოღლილ თვალებს შიკრიკს ციურსა,
 ნაცვლად ცისკრისა დამცქერიან შენი თვალეები
 და შიშით ვისმენ უცნობ ხარხარს დემონიურსა...

მითხარ: ბორკილი რად დაადე უხილავ სულსა?
 ლოცვით ნაკმევი წმინდა გრძნობა რად მაწყევლინე?
 ესდენი ძალა ვინ ჩაგბერა ცოდვის ასულსა?
 მარქვი- ცისიერს მიწიერი რად მომეველინე?!

ი. აბაშელი

ზარათუხი.

ზრ. რუბაძიძე.

3. „ოქროს ვერძი“.

წავიკითხე ორი პირველი რვეული „ოქროს ვერძისა“. მართალი გითხრათ, საკვირველი ჯერჯერობით იქ არა არის რა, და არც მგონია ასეთი ვერძისათვის იაზონმა მოაყუროს თავის გემი კოლხეთის ნაპირს, მაგრამ მასში არის ისეთი რაღაც, ხელუხლებელი, გამოუთქმელი, რომელიც სიამოვნებას ჰგვრის ხელოვნების მოყვარულს: ეს არის ყვავილოვანი სიყმაწვილე, რომლის ლაღად ნაკვეთ შუბლზე ჯერ კიდევ არ გაურბენია ქნობის ფიქრის ფრთას.

საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო, — წარმოვთქვი ერთხელ; და ამ სიტყვის სიმართლეს დღითი დღე უფრო ვგრძნობ. მაგრამ რენესანსი იგი ჯერ კიდევ ქაოსისა და ფორმის ბრძოლაში აშკარავდება და კიდევ დიდი დროა საჭირო, რომ ფორმამ სავსებით სძლიოს ქაოსსა. ეს ფიქრი მებადება, როცა შევსცქერ ჩვენი უახლესი ხელოვნების ზრდას.

ქმნილება მხოლოდ მაშინ არის ხელოვნური. როცა მისი შემოქმედი, ვით ღმერთი შექმნის დღის შემდგომ, გამარჯვებული სილაღით იტყვის: ეს კარგია. ხელოვნური ქმნილება სრულია და უნაკლო: მას ვერც რამეს მიუმატებ და ვერც რამეს გამოაკლებ. გაბედეთ ანტინოის ლამაზი შუბლის შესწორება და თქვენ წამსავე დაინახავთ, რომ თქვენი ხელშეხება დაამახინჯებს იმა შუბლს.

ესევე ითქმის ხელოვნების იმ სამთავროს შესახებაც, საცა მეფედ სიტყვა არის. სიტყვა არ არის უბრალო რამ. მხოლოდ მექანური იარაღი; არა: სიტყვა ფსიხური ძალაა, შემოქმედი ენერგია: იგი ფიქრის სხეულია. კიდევ უფრო დიდი ენერგიაა ლექსი: ლექსს თავის საკუთარი სიცოცხლე აქვს; და მისთვის უნდა იყოს იგი სრული ინდივიდუალობა, უნაკლო სხეული.

და თუ ამ საზომით ვიხელომძღვანელოთ, ჩვენი უახლეს ხელოვნებას კოკლობას შევამჩნევთ უთუოდ. ლექსისათვის საჭიროა მთელი კულტურა ლექსისა, ჩვენში უმეტეს წილ ვარჯიშობაა: ხელოვნური სისრულისათვის აუცილებელია ჰელენური, რუსთველური ზომა, ჩვენში კი მის ალაგს სიკარბეა მხოლოდ.

მაშ რით აიხსნება შემდეგი მოვლენა? პროზაში საჭიროა პროზის რიტმი, ზოგი ჩვენი მწერალი

კი პროზაში ლექსის რიტმს ურევს; საცა ერთი მადლიანი ხაზ მოსმია საკმაო, იქ ზოგი მოლექსე უთვალავ სახეს ხმარობს; მთლიანი მგოსნური ხატის მაგიერ ჩვენ ხშირად მის ნაცრეცებს ვხვდებით ხოლმე: შედარების პოეზიამ თავისი დრო თითქმის უკვე მოსკამა, ჩვენში კი შედარება აბსურდამდე მიჰყავთ; ხელოვნება არის იქ, საცა სტილი არსებობს, ჩვენს მწერლობაში სტილის ნასახს თუ შეხვდებით. კიდევ უფრო საგულისხმო მოვლენა — ფაბულა ხელოვნებაში დიალექტურია: იგი უფრო მათემატიკურია ვიდრე თვითონ ლოღია: დაბოლოვებით „ოიდიპოს მეფე“ ისე, რომ თვალები არ დაითხაროს მან, — და თქვენ დაინახავთ, რომ ამით გენიალ ქმნილებას ერთიანად დაამსხვრევთ; ჩვენი მწერლობის ფაბულას როგორც გსურთ ისეთ ხვეულს მისცემთ და მით იგი სრულიად არას დაჰკარგავს.

ამბობენ: კრიტიკა არა გვაქვსო. ტყვილი თავის მართლებათ. ბელინსკის მაგალითი აქ მოსაყვანი არ არის: მსოფლიო ლიტერატურას უბელინსკოდაც შეუძლია სიცოცხლე. ნამდვილ ხელოვანს კრიტიკოსი არ სჭირდება და წარმოუდგენელია რუსთაველის ცეცხლმა ვინმეს ფიქრს დაუჯეროს. უაილდის თქმა: დიდს ხელოვნებას დიდი კრიტიკული ხანა სდევს თან, მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ: დიდი ხელოვნება დიდს კრიტიკულს ატმოსფერასა ჰქმნის, სადა ხელოვანი და კრიტიკოსი განუყოფელია. და განა ამას არ მოწმობს თანამედროვე ლიტერატურა ევროპასა და რუსეთში: აქ ნამდვილი ხელოვანი იმავ დროს ნამდვილი კრიტიკოსია.

მიზეზი სულ სხვა რამ უნდა იყოს. შესაძლოა დამტკიცდეს, რომ ხელოვნება ღმერთ მსახურების გაგრძელებაა. მოგვ პირველში მგოსანიც იყო: იღუმალი სიტყვა და წმინდა სახელი, — განა იმავ ლექსის სული არ არის?! დიახ: ხელოვანი მოგვია ნამდვილი, — და ვის სულში ცეცხლი არ იწვის ღვთიური, იგი ხელოსანია მხოლოდ.

გადაჭრით ვიტყვი: ვისაც უკვდავება არ სწამს, იგი არ არის მგოსანი: მარადისობის ცეცხლის მაგიერ, იგი მხოლოდ მტვერს ემსახურება. და მოსძებნეთ ჩვენში მგოსნის სული, რომელიც ღვთიური ცეცხლის ალით იწვოდეს?

კიდევ ერთი საშინელი მოვლენა. მითქვამს და გავიმეორებ: მგოსნის სულში ერი ცოცხალ არსად უნდა ფეთქდეს; უამისოდ შეუძლებელია მზურ-ხალისიანი შემოქმედება. მართალია, ჩვენს განცდაში საქართველო როგორც მთელი არ არსებობს, მაგრამ ჩვენს ოცნებაში ხომ არსებობს მისი სრული სა-

ხე?! და ტანჯვაა საქირო, ღრმა ტანჯვა, რომ ოცნების ჩონჩხმა ჩვენს წარმოდგენაში ხელსახები სხეული შეისხას. და ვანა, ბევრი იტანჯვის ჩვენში?!

და ამისთვის ახალგაზღა „ოქროს ვერძს“ ვუსურვებ მხოლოდ ცეცხლსა და ტანჯვას.

ქიკოლო რობიაკა

ელეაზარი

ლეონიდ ანდრეივიდან.

ბ ტაზიმა.

I.

როდესაც ელეაზარი ამოვიდა საფლავიდან, სადაც ის იმყოფებოდა სიკვდილის საიდუმლო უფლებებაში და ცოცხალი დაბრუნდა თავის სახლში, დიდხანს ვერ ამჩნევდენ მას იმ ბედით ახირებას, რომელმაც შემდეგ საშინელი შეტქმნა სახელი მისი. მზიარულობდენ ნათელ სიხარულით მეგობრები და ახლობელნი ახალ დაბრუნებულზე და მის აღერსსა და სასმელ-საჭმელზე ზრუნვაში იკლავდენ თავიანთ გაუზამდარ ყურადღებას.

და ჩააკვს ელიაზარს მშვენიერი ტანისამოსი, მორთული იმედის და სიცილის ყვავილებში და როცა ის როგორც საქმრო საქორწილო ტანისამოსში იჯდა მათ შორის სუჯრაზე და კიდევ სვამდა, კიდევ სვამდა, ისინი სტიროდენ სიხარულით, თან უხმობდენ მეზობლებს, რომ მოსულიყვენ და შეეხედათ სასწაულით აღმდგარისთვის.

მოდლიდენ მეზობლები და უხაროდათ.

მოდლიდენ უცნობნი შორეულ ქალაქებიდან და სოკლებიდან და ხმამაღლათ აცხადებდენ თავიანთ თაყვანისცემას სასწაულზე და როგორც ფუტკრები ბზუოდენ მარიამის და მართას სახლში.

— მას, რაც ახალი გამოაჩნდა სახეზე ელიაზარს და მის მიხვრა-მოხვრას, ისინი ბუნებრივად ხსნიდენ, როგორც მძიმე ავადმყოფობის და გამოცდილ ძრწოლათა ნაკვალევს...

ალბად რღვევითი მუშაობა სიკვდილისა ცხედარზე მხოლოდ შეეყენებინა ცოტათი სასწაულე-

ბრივ ძალას, მაგრამ მთლად არ მოესპო. და ის რაც სიკვდილის მოესწრო დიემჩნია ელიაზარის სახესა და სხეულზე, ძლიერ მიავადა მხატვრისგან გაუთავებელს სურათს თხელ მინაზე, თვალებზე და ლოყებზე აჩნდა ელეაზარს მიწის ფერი განიერი სილურჯე, ისე ლურჯში და მიწის ფერი იყვენ გძელი თითები მისი ხელებისა და საფლავში ამოსულ ფრჩხილებსაც აჩნდა იგივე ფერი. ალაგ-ალაგ ტუჩებზე და სხეულზე გამსკდარიყო კანი, საფლავში გასივებული და იმ ალაგზე დარჩენილიყვენ თხელი, სისხლიანი კრილობები, რომელნიც ბრწყინავდენ. საფლავში გასივებულ სხეულს შერჩენოდა სიდიდე და გახრწნის მყრალი სუნი. მაგრამ მკვდრის სული, რომლითაც გაყდნთილი იყო მისი საფლავში ჩაყოლებული ტანისამოსი და აგრეთვე მისი სხეული მალე სრულიად გაჰქრა. რამდენიმე ხნის შემდეგ გადავიდა სილურჯის ფერი და გამხდარი სისხლიანი ადგილები, თუმცა სრულებით არას დროს არ გადასულან. აი ამ სახით წარუდგა ის აღამიანებს თავის მეორე სიკოცხლემში, მაგრამ ის სრულიად ბუნებრივად ეჩვენებოდათ მათ ვისაც უნახავთ ის დამარხული.

სახის გარდა თითქო ხასიათიც გამოეცვალა ელეაზარს, მაგრამ ეს არავის აკვირებდა და ვერც მიეცყო შესაფერი ყურადღება.

სიკვდილამდი ელეაზარი იყო მუდამ მზიარული და უდარდელი. უყვარდა სიცილი და შეურაცხყოფას მოკლებული მახრობა. ამ ბოროტებას და წყენას მოკლებულ სიმზიარულისთვის შეუყვარდა ის მასწავლებელს, ეხლა ის შეიქნა სერიოზული და მღუმარე, თითონ არ ხუმრობდა და არც სხვის ხუმრობას უპასუხებდა სიცილით და ის სიტყვები, რომელსაც ზანდისხან ის წარმოსთქვამდა იყვენ სრულიად უბრალონი ჩვეულებრივი და მიუცილებელი და ეს სიტყვები ისე იყვენ მოკლებულნი შინაარსს და სიღრმეს, როგორც ის ხმები, რომლითაც ცხოველები გამოსთქვამენ ტყვილს და სიხარულს, წყურვილს და შიმშილს. ამისთანა სიტყვები შეუძლია მთელ სიკოცხლემში რაპარაკოს აღამიანმა და ვერავინ ვერას დროს ვერ გაიგებს რა ტკიოდა ან რა ახარებდა მის ღრმა სიხარულს... ასე მკვდრის სახით, რომელსაც სამ დღეს ფლობდა სიკვდილი წყვდიადში, მდიდარ საქოწილო ტანისამოსში, რომელიც ბრწყინავდა ყვითე ი იაქროთი და სისხლის ფერ მეწამულით, მძიმე და მღუმარე იჯდა ის სანადიმო მაგიდასთან მეგობართა და ახლობელთა შორის.

გძელი ტალღებით ხან ნაზად, ხან ქროლვით დადიოდა მის გარშემო სიხარული და თბილი სახელი სიყვარულისა მიეზიდებოდენ მის სახისკენ, რო-

მელსაც კიდევ შეენახა საფლავის სიცივე და ცხელი ხელი მეგობრისა ეალერსებოდა მის ლურჯ და მძიმე ხელს. მუსიკა უკრავდა. მოუხმეს მემუსიკეთ და ისე მხიარულად უკრავდენ: სალამური, ჩანგი, ტიმპანი ერთმანეთში ირეოდა, თითქო ფრინველები გალობდენ მარიამის და მართას ბედნიერ სახლის ზევით.

II.

ვილაც გაუფრთხილებელმა გასწია ზეწარი. ვილაცამ გაუფრთხილებელი ერთი შებერვით, ერთი უტახებდათ წამოსროლილი სიტყვით დაამსხვრია ნათელი ჯაღო და საშინელი სიტყვებით აღმოაჩინა ქვეშაობა. ჯერ კიდევ აზრი არ გამოარკვეულიყო მის თავში, როცა ბაგენი ღიმილით კითხულობდენ:

— რისთვის არ მოგვიყვები შენ ელიაზარ რა იყო იქ? და ყველა დადუმდა ამ კითხვით შეძრწუნებული, თითქო მხოლოდ ეხლა მოაგონდათ მათ, რომ სამი დღე იყო მკვდარი ელიაზარი და ცნობის მოყვარობით უშვრდენ მას- ელოდენ მის პასუხს, მაგრამ ელიაზარი სლუმდა.

— შენ არ გინდა გვიამბო-გაიკვირვა მკითხავმა, ნუთუ, მართლა მაგრე საშინელია აქ.

და ისევ აზრი მიდიოდა სიტყვების უკან და ის რომ სიტყვების წინ წასულიყო მაშინ მკითხავი არ მისცემდა მას ამ კითხვას, რომლითაც ერთ წამზე მოუთმენელი შიშით დაღონდა მისი საკუთარი გული. ყველას შეეპარა მოუსვენრობა და უკვე სევდიანად ელოდენ ისინი ელიაზარიდან სიტყვებს. ის კი სდუმდა ცივად და სასტიკად და მისი თვალები შორს სივრცეში გაიყურებოდენ. და აქ ისევ, თითქო პირველად შეამჩნიეს საშინელი სილურჯე სახისა, მაგიდაზე თითქო დავიწყებული ელიაზარიდან იღვა მისი ლურჯი ხელი და ცვალები უნებლიეთ დაეტოვებია მას, თითქო პირველად იმისგან ელოდენ სასურველ პასუხს. მემუსიკენი ისევ უკრავდენ, მაგრამ აი მათანაც მიღწია სიჩუმემ, და როგორც წყალი, როცა დაესხმება ნალვერდალს, ისე გააქრო მან მხიარული ხმები. დადუმდა ჩანგი, და თითქმის სიმი გაწყდა და თითონ სიმღერა მოკვდა, მთრთოლვარე მოწყვეტილ ხმით გამოეხმაურა ქნარი.

— და ჩამოვარდა სიჩუმე.

— და შენ არ გინდა? გაიმეორა მკითხავმა, რადგან ვერ შეძლო დაეკვებინა მოტარტარე ენა. იყო სიჩუმე და გაუნძრევლად იღვა მაგიდაზე ლურჯი ხელი. აი ის კოტათი შეინძრა და ყველამ ამოისუნთქა მოსვენებულათ და მიაჩერეს თვალები, პირ-

დაპირ მას. მიიმედ და საშინლად იხედებოდა ამდგარი ელიაზარი.

ეს იყო მესამე დღე ელიაზარის საფლავიდან ამოსვლის შემდეგ. ამის შემდეგ ბევრმა გამოსცადა დამლუპველი ძალა მისი შეხვედრისა, მაგრამ არც ისინი, ვინც სამუდამოდ მოსწყვიტა მან, არც ისინი. ვინც თვით სიკოცხლის პირველ წყაროში ნახა ნება საწინააღმდეგო, ვერ ხსნიდენ საშინელს, რომელიც ესვენა მის თვალებში. იცქირებოდა ელიაზარი მშვიდად და საღათ, მას არ ქონდა სურვილი რაიმე დაემალა და ან რაიმე ეაქვა. ცივად იცქირებოდა ის როგორც ადამიანი, რომელიც უსახლვროდ გულცივია სიკოცხლზე. ბევრი უზრუნველი ხალხი ხვდებოდა მას ახლო და ვერ ამჩნევდენ. შემდეგ კი განცვიფრებით და შიშით იგებდენ ვინ იყო ის მშვიდი, რომელიც შეეხა თავის მდიდარ ტანისამოსით. მზე არ შეწყვეტდა სინათლეს, როცა ის ხედავდა, შადრევანი არ წყვეტდა ძახილს და ისევ უღრებულო და ლურჯი რჩებოდა მშობელსა, მაგრამ ადამიანი რომელმაც განიცადა მისი შეხედვა უკვე არ გრძობდა მზეს; არ ესმოდა შადრევნის ხმა და ვერ ცნობდა სამშობლოცას. ხანდისხანად ადამიანი ტიროდა მწარედ, ხანდისხან სასოწარკვეთილებასში იწეწდა თმას თავზე და გიჟივით ეძახდა ხალხს საშველად. მაგრამ უფო ხშირად ასე ხდებოდა: მშვიდად დაიწყებდა კვდომას, კვდებოდა გძელ წლებით: კვდებოდა ყველას თვალწინ, უფერო, მოწყენილ როგორც ხე, მდუმარედ რომ ხმება ქვიანნიადავხე და პირველნი, რომელნიც უკვიროდენ და გიჟდებოდენ, ხანდისხან უზრუნდებოდენ სიკოცხლზე. მეორენი კი—კვდებოდენ.

მაშ არ გინდა შენ გვიამბო ელიაზარ რა ნახე იქ? მესამეჯერ გაუმეორა კითხვა მკითხავმა, მაგრამ ეხლა მისი ხმა იყო ცივი და მკვდრული, რუხი მოწყენილობა მღვრივდ იცქირებოდა მის თვალებიდან. და ყველას სახე დაფარა, როგორც მტვერმა ამ მოწყენამ და გაკვირვებით უცქეროდენ ერთმანეთს სტუმრები და ვერ გაეგოთ რად შეიკრიბენ და ზიან აქ მდიდარ სუფრაზე. შესწყვიტეს ლაპარაკი, გულცივად ფიქრობდენ, რომ უთუოდ უნდა წავიდენ. სახლში, მაგრამ არ შეეძლოთ დაეძლიათ ზარმაცი მოწყენა, უღონო ძარღვები და ისევ განაგრძობდენ სხდომას. ყველა ერთმანეთს მოწყვეტილი, როგორც ბინდიანი ცეცხლი უდაბნოში გაბნეული ღამით. მემუსიკეთ ასაჩუქრებდენ რომ დაეკრათ და ისევ მოკიდეს მათ ხელი ინსტრუმენტებს და ისევ ამეტყველებდენ დასწავლილი მწუხარე ხმები. ისევ ის შეგუბებულო ჰარმონია ისახებოდ

მათში, მაგრამ გაკვირებით უსმენდნენ სტუმრები, მათ არ იცოდნენ რისთვის იყო ეს საჭირო და რისთვის არის ეს კარგი, როცა ადამიანები ჩამოკრავენ სიმებს, ლოყებს გააფართოვებენ და ქმნიან უჩვეულო, სხვადასხვა ხმის ხმაურობას...

— როგორ ცუდად უკრავენ! თქვა ერთმა.

მემუსიკენი გაიბუტენ და წავიდნენ. მათ უკან მიყვენ სათითაოდ სტუმრები, რადგან უკვე ღამე იყო და როცა ყოველ მხრიდან მათ შემოერტყათ წყვილი და უკვე უფრო მსუბუქად შეეძლოთ ამოესუნთქათ, უეცრივ მათ წინ სათითაოდ რისხვის ბრწყინვაში გამოჩნდა ელენაზარის სახე. ლურჯი სახე მკვდარისა, საქმროს ტანისამოსი, მდიდარი. და ბრწყინვალე, ცივი სახე, რომლის სიღრმეში ციალობდა რაღაც საშინელი. თითქო ქვად ქცეულნი იყვენ ისინი სხვადასხვა ადგილას და წყვილი გარეცავდა მათ. სიბნელეში კი უფრო ნათლად ისახებოდა საზარელი მოჩვენება, ზებუნებრივი სახე მისი, ვინც სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდა სიკვდილის უკლებიაში, სამი დღე იყო ის მკვდარი, სამჯერ ამოვიდა და ჩავიდა მზე, ის კი იყო მკვდარი, ბავშვები თამაშობდნენ, ქვებზე მოლილიყებდა წყალი, ცხელი მტვერი აღიოდა გზას და ის კი იყო მკვდარი. და ეხლა ისევ ხალხში არის იგი, ენება მათ, ხედავენ მათ!—და მის თვალის კაკლების შავ-წრეთა შორის როგორც ბნელ მინისგან ხედავენ ის ადამიანებს, თვით მიუწოდომელი იქ...

III.

არავინ არ ზრუნავდა ელენაზარზე, არ დარჩენ მას ახლობელნი და მეგობრები და ვრცელი უდაბნო, რომელიც გარშემო ერტყა წმიდა ქალაქს, მიუახლოვდა თვით მის სახლის კარებს. და შევიდა მის სახლში და მის საწოლზე დაწვა, როგორც მოსიყვარულე ცოლი და ჩააქრო ცეცხლი. არავინ არ ზრუნავდა ელენაზარზე. ერთი ერთმანეთზე წავიდნენ მისი დები მართა და მარიამი, დიდხანს არ უნდოდა მისი დატოვება მართას, რადგან არ იცოდა ვის უნდა ესმია და ექმია მის ძმისთვის, ან ვის უნდა შებრალებოდა. დიდ ხანს ტიროდა და ლოკულობდა, მაგრამ ერთ ღამეს, როცა ქარიშხალი დაჰქროდა უდაბნოში და მწარე მოთქმით იღუნებოდნენ კიბარისები სახლის სახურავზე, მართამ ჩუმად ჩაიკვა, და ჩუმადვე წავიდა. უთუოდ გაიგონა ელენაზარმა როგორ მოიხურა კარი და დიდ ხანს არწევდა მას ქარიშხალი, თითქო უნდოდა თავის ფრთებზე წამოეკიდა და წაეღო, მაგრამ არ ადგა ელიაზარი, რომ შეეხედა და დაეკეტა. და მთელი ღამე ზუზუ-

ნებდნენ მის თავის მაღლა კიბაროსები, და მწუხარედ ერაზუნებოდა კარი, უშვებდა რა სახლში ქარიშხალს და ცივ უდაბნოს. როგორც კეთროვანს უფროსოდნენ მას ყველანი და როგორც კეთროვანს დაუპირეს კიდევ პატარა ზარები დაეკიდათ ყელზე, რომ გაეგოთ მისი შეხვედრა და გადადგომოდნენ გზაზე. მაგრამ ვიღაც, გაფითრებულმა შიშით სთქვა, რომ საშინელი იქნება როცა ღამე ფანჯარასთან ჩამოესმებათ პატარა ზარების წკარუნი ელენაზარისა და ყველა გაფითრდა და დაეთანხმა მას...

და რადგან არც თითონ ზრუნავდა ის თავის თავზე: შესაძლებელია მომკვდარიყო კიდევ შიმშილით, რომ მეზობლებს, რაღაც შიშის გამო არ გადაწყვიტათ მისთვის საქმელის დატოვება სახლში. მიჰქონდათ საქმელი ბავშვებს, რადგან მათ არ ეშინოდათ ელენაზარისა, მაგრამ არც დასცინოდნენ მას, როგორც გულუბრყვილოთ ხანდისხან იციან ხოლმე დაცინვა უბედურებისა. გულცივად ეკიდებოდნენ მას ბავშვები და გულგრილობითვე უხდიდა ელენაზარიც. არ ქონდა მას სურვილი მიეაღერებია ხუტუტა თავისთვის და ჩაეხედა გულუბრყვილო ნათელ თვალებში. ჟამის და უდაბნოს ანაბარად დატოვებული თანდათან ინგრეოდა მისი სახლი და დიდი ხანია გაიქცენ მეზობლებში შიმშილისგან გაბრუნებულნი პეტელით თხები. დაძველდა საქარწილო ტანისამოსი მისი. როგორც ჩაიკვა მან პირველად იმ ბედნიერ დღეს, როცა უკრავდნენ მემუსიკენი, ისე უცვლელად ატარებდა, თითქო ვერც კი ცნობდა გარჩევას ახალსა და ძველს დახეულს და მთელს შორის... ნათელი ფერი გახუნდა და ამოიწვა. ბოროტი ქალაქის ძაღლები და უდაბნოს ეკლები ძონძებათ აქცევდნენ მშვენიერ სამოსს. დღე როცა შეუბრალებელი მზე ყოველ ცოცხალს მკვლელად ჩნდებოდა და როცა ლოკოკინებიც კი მიძვრებოდნენ ქვების ქვეშ და იქ იხრუკებოდნენ ვისმესი დაშხამის გიჟურ სურვილისგან, ის გაუნძრევლად იჯდა სხივების ქვეშ, მაღლა აწვია თავის ლურჯი სახე და ველური წვერები. როცა, ჯერ კიდევ ელაპარაკებოდნენ მას, კითხეს:

— საბრალო ელიაზარ! შენ გიხაროიან განა მზის ქვეშ. მზის ქვეშ ჯდომა და მისი ყურება?...

და მან უპასუხა.

— დიან, მიხარია.

ალბად ასე ძლიერი იყო სიცივე სამ დღეს საფლავში და ისე ღრმა წყვილი მისი, რომ არ იყო მიწაზე რაიმე სიცივე, ან სინათლე, რომელსაც შეეძლო გაეთბო ელენაზარი ანდა გაენათებია მის თვალთა წყვილი. იფიქრეს მათ ვინც ეკითხებოდნენ და

ამოხვრით მოსცილდენ მას. და როცა წითელი ბურთი მიწისკენ წამოიწვედა, ელენაზარი ბრუნდებოდა უდაბნოში და მიდიოდა პირდაპირ მზისკენ, თითქო უნდა დაეწიოსო. ყოველთვის პირდაპირ მზისკენ მიდიოდა ის და ისინი ვინც მის გზას უთვალთვალდებდნ და უნდოდათ გაეგოთ, რას აკეთებდა ელენაზარი ღამე უდაბნოში, ამოუშლელად ჩაიბეჭდენ მესხიერებაში შავი სილუეტური მალალი, მოწყენილი ადამიანისა უშველებელი წითელი დისკის ფონზე. ღამემ გააბნია ისინი თავის შიშით და ისევ ვერ გაიგეს რას შვებოდა ელენაზარი უდაბნოში, მაგრამ ხატება შავის წითელ ფონზე, თითქო გამოიწვა მათ ქვეაში და არ მიდიოდა. როგორც მხეცი, გამოსაცვენად მომზადებულ თვალებით თავის პირს თათებით იხაკავს, ისე სულელურად იწმენდდენ ისინი თვალებს, მაგრამ, ის რასაც იძლეოდა ელენაზარი ამოუხოცელი რჩებოდა და ავიწყებინებდა მხოლოდ სიკვდილი. მაგრამ იყვენ ადამიანები, რომელთაც არ ენახათ ელიაზარი და მხოლოდ გაეგონათ მანე. კანდიერი ცნობის მოყვარეობით, რომელიც შიშზე უარესია და იკვებება შიშით, დამალულ დაცინვით სულში, მოელოდენ ისინი მზეზე დამუდართან და გაუბამდენ საუბარს... ამ დროს ელენაზარს სახე ეცვლებოდა სიკარგისაკენ და არ იყო ძველებურად საშინელი. და პირველ წაშში ისინი იმტყრევდენ თითებს და ფიქრობდენ წმიდა ქალაქის მცხოვრებთა სისულელეზე და როცა მცირე ლაპარაკის შემდეგ ისინი ბრუნდებოდენ სახლში, მათ ქონდათ ასეთი შეხედულება, რომ წმიდა ქალაქის მცხოვრებნი მაშინვე ამჩნევდენ მათ და ლაპარაკობდენ.

— აი კიდევ მოდის გიეი, რომლისთვისაც შეუხებია ელიაზარს და შებრალებით დადუმდებოდენ და აწევდენ ხელებს. მოდიოდენ იარაღით ხელში, გულმაგარი და შამაკი მერაზრები, მოელოდენ სიცილით და სიმღერით ბედნიერი ვაჟაკები. მოდიოდა საქმიანი ხალხიც, ფულის ბზრიალით და კანდიერი მსახურნი ტაქრისა აყუდებდენ ელიაზარის კარებთან თავიანთ კვერთხებს და არავენ არ დაბრუნებულა ისეთი, როგორც მოვიდა. ერთი და იგივე საშინელი ჩრდილი ჩახვეოდა სულს და ახალი სახე ეძლეოდა ძველ ნაცნობ სამყაროს. ასე გამოსცემდენ თავიანთ გრძნობას ისინი, ვისაც კიდევ ქონდა ლაპარაკის თავი.

ყველა საგნები, თვალთ შვსახედი და ხელით შვსახედი უცებ ცარიელდებოდენ და იქცეოდენ ჩატეთ, გაშქრავლეთ. მიაგავდენ წასულ ჩრდილებს ღამის უდაბურ წყვილადში, რადგან ის უშველებელი წყვილი, რომელიც ახვევია სამყაროს ვერ

ნათლდებოდა ვერც მზით, ვერც მთვარით, ვერც ვარსკვლავებით და უსაზღვრო შავი ზეწარით მოსავდა მიწას, როგორც დედა კოცნიდა მას.

ყველა საგნებს შეეხო ის, რკინას და ქვას და მარტოთ რჩებოდენ საგნები, რა დაეკარგათ კავშირი, ნაწილების სიღრმეში შედიოდა ის და ანაწილებდა ყველაფერს...

რადგან ის საშინელი სიცარიელე, რომელიც სამყაროს ვერ ავსებდა ვერც მზით, ვერც მთვარით, ვერც ვარსკვლავებით და მეფობდა უსაზღვროთ. ყველგან შედიოდა და ყველაფერს აცალკევებდა: სხეულს სხეულისგან, ნაწილს ნაწილისგან.

სიცარიელეში შლიდენ თავის ძირებს ხეები და თითონვე იყვენ ცარიელნი. სიცარიელეში, თითქო ჩამოქცევას ღამობდენ, ეკიდენ ტაძრები, სასახლენი, სახლები და თითონვე იყვენ ცარიელნი. სიცარიელეში დადიოდა ადამიანი ან თითონვე იყო ცარიელი, მჩატე როგორც ჩრდილი.

რადგან არ იყო ჟამი და დაახლოვდა დასაწყისი ყოველ საგნსა მას დასასრულთან. კიდევ აშენებდენ შენობებს, კალატოზები ჩაქუჩით ხმაურობდენ, მაგრამ უკვე იქცეოდა, და იბადებოდა თუ არა ადამიანი მის თავის სასთუმალს აინთებოდ დასამარხი სანთელი და ქრებოდა სიცარიელე იკავებდა ადამიანის და დასამარხ სანთელის ადგილს. და სიცარიელით ავსებული ადამიანი უიმედოთ ძრწოდა დაუსრულებელის საშინელების წინ.

ასე ლაპარაკობდენ ისინი, ვისაც კიდევ ქონდა ლაპარაკის თავი, მაგრამ უთუოდ კიდევ მეტს იტყოდენ ისინი, რომელთაც არ უნდოდათ ლაპარაკი და ისე ჩუმად კვდებოდენ.

მ. ქროს

(დასასრული იქნება)

ნისლეები.

ხნა. კალიაზვილი.

თანდათან უახლოვდებოდი მთებს. გრილი სიცილი მომბერდა ფერღოებიდან. ხეები ოდნავ ირხეოდა წილში, როგორც ღამაში ქალი ცეცხლის დროს. თეთრი ნაფოეთი ღრუბლები კი თავზედ ევლებოდა, იხლართებოდა შტოვებში და ხვევდა ბურუსში. ციკაბო კლდეებზე ზანტათ მიცოცავდა ნისლი და ნა-

პრალეების სიტარიელეს აესებდა... ბუნების სიკვდი-
ლის სურათი სევდას ბადებდა სულში...
ვიდექ და უყურებდი.
ჯერ კიდევ ჩანდა ხის შავი წვეროები, როგორც
ყვავები თოვლით დაფენილ ველში... და გამოუც-
ნობი სევდა ებარებოდა სულს, ისეთივე მწუხარე, —
როგორც ნისლით დაფენილ ხეთა დუმილი; ისეთი-
ვე ტკბილი, როგორც სიკვდილი.
ნისლი თანდათან ძირს ეშვებოდა... ხეების შა-
ვი მწვერვალები სრულიად დამალა...
მთელი მთა ნისლით დაბურულა... მხოლოდ
თვალუწვდენი მწვერვალი დაეტოვებია შავ რგო-
ლათ, რომელზედაც მარტო იდგა ტან-წერწეტი
ნაძვი.
ვაკცერდებოდი და ვფიქრობდი... იდგა მარტო
და ნამტირალი თვლით გადაყურებდა მის ქვეშ მი-
ძინებულ მიდამოს... და მეჩვენებოდა, რომ საბრა-
ლო აწ ვერასდროს ვერ იგრძნობს სიხარულს და
ბედნიერებას!
რა რიგათ მოგავადა მას იმ წუთში ადამიანის
გრძნობა და ოცნება, რომელიც მასავით მარტო
სდგას მომაკვდავ კაცობრიობის თავზე და ვერასო-
დეს ვერ გაუხარია, ვერასოდეს ვერ უგრძნენია ბედ-
ნიერება!
მიწ მიბნეულბინამ მიღწეულბინასდა თელწობს
ლევგენდა.
რა რიგათ მიყვარს რომ იცოდეს შენი სახე!
ის სარკეა ჩემი სულში... ჩემი გულის სიღრმეში
შენი თვალეები ინთება ვით ორი დიდი მოკიფე
ვარსკვლავი ცაზედ, შემოდგომის ბნელ ღამეს.
შენი თითები თეძორია ვით ღრუბლის ქულა,
ვით ღრუბლის ქულა, რომელიც დასაძინებლათ
მთის წვერვალს ესტუმრება.
ფიქრი ჩემი მარხია შენ სულში.
შენი სული--ეს ხომ ლევგენდაა, შექმნილი
ლევგენდა, რომლის დედა-აზრს ჩემსავით ვერავინ
გაიგებს...
ნუ მომასმენ შენ ხმას--მე თვით შექმნი მას
და მოვისმენ...
ნუ დამინახებ შენს თვალებს--ისედაც ვხედავ
მათ ყოველ ჟამს...
ნუ მოხვალ ჩემთან--ისედაც ვიგრძნობ შენს
სიხარლავს.
გეტყვორი ზღაპარს შენსავით მშვენიერს--მაგ-
რამ შენ ხომ თვით ზღაპარი ხარ, ზღაპარი, რომე-

ლიც ჩემთვის დაიბადა, რომელიც ჩემთვის არც-
ბობს!...
შორსა ხარ ჩემგან, მაგრამ რათა მესმის ყო-
ველთვის შენი ტკბილი საუბარი!
უხილავი ვიყავ--შენ გამიხილე თვალეები.
ყრუ ვიყავ--მაგრამ შენმა ხმამ მომცა ძალი
და გავიკურნე.
მშვენიერია ქვეყანა რადგან შენ ხარ ქვეყანა-
ში... ღამაში არის ღოცვა მორწმუნეთა, რადგან
ის მოგავს ჩემს ღოცვას შენდამი...
მხოლოდ მხოლოდ მიტომ ხარ შექმნილი, რომ შენით
ყველაფერი შემიყვარდეს... კურთხეულ იყვეს მიწა,
შექმნილი შენი და დამტარებელი... კურთხეულ
იქნეს სახე შენი და ბაგე საამურათ მოღიძარი...
შენი სული ეს ხომ თვით ლევგენდაა, შექმ-
ნილი ლევგენდა, რომლის დედა-აზრს ჩემსავით ვერ-
ავინ ჩაწვდებ...
რა საქმე მაქვს მე მასთან შექმნარტებაა თუ
არა ჩემი ლევგენდა? რამე თითონ შენ სინამდვილე ხარ?
ვანა თითონ შენ სინამდვილე ხარ?

სწ--პოემა

ტყვე

მ. ლაღიანი.
(გაგრძელება*)
— ექვენ ძალიან შორსა დგებართ, ტიტოკო!
დროით ვერ ჩააღწევთ. ჩამოღით ჩვენსა და ღამე
იქ გაიფეთ.
ასე მიმართა ელისაბედმა ტიტოკოს, როდესაც
სოფლის გზა-ჯვარედინს მიადგენ მგზავრები.
ტიტოკო ცოტა ხანს უარზე იდგა, მაგრამ გულ-
უხემა მასპინძელმა დაძლია და თან ახალგაზდების
თხოვნამაც.
თიკომაც კი სთხოვა.
ეს ტიტოკოს ძალ-ღონეს აღემატებოდა.
ტიტოკოს არ უნდოდა, მაგრამ ეს ქალი მას
მაინც ემონავებდა. ტიტოკოს თითქო არც მოსწონ-
და თიკო--მისი ცოტა არ იყოს ამაყური პიროვნე-
ბა, მისი თითქო არისტოკრატიზმი საქციელში, ლა-
პარაკში, მაგრამ იყო ერთი რაღაც უხილავი სიმი
*) იხ. „მკროს ვერძი“ № 2.

ტიტიკოს გულსა და გრძნობაში, რომელსაც იმორჩილებდა თიკოს მიუღღამელი პიროვნება და ტიტიკოს ძალაუნებურათ ყმა ხდებოდა თიკოს უბრალო სურვილისაც კი.

ეს აჯავრებდა ტიტიკოს.

მხოლოდ ამ ზაფხულს გაეცნო ტიტიკო თიკოს და გაცნობის შემდეგვე ამ ქალმა დაიპყრო-ჯერ არ უტყდებოდა თავს. არც სჯეროდა ესეთი მოხიბლვა. მით უფრო, რომ თიკოსთან პიროვნებას ვერ უნდა გაეტანა იგი. თიკო სულ სხვა იყო. სხვა აზროვნების, სხვა აღზდისა და მიმართულების. ტიტიკო მუდამ გმობდა მისი შეხედვით თიკოსთან უსაქმურ და ფუქსავატურ არსებას, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ გმობდა და გული კი მაინც მისკენ მიიწეოდა. ეჯავრებოდა და მონა კი ხდებოდა. არასოდეს არ მომხდარა, რომ ტიტიკო ასე დაებრძავებინოს ქალს. მას თუ მოსწონდა ქალი, მოსწონდა მუშა ქალი, ხალხში ჩატრილებული და მისი ქირ-ვარამის გამხიარებელი. მოსწონდა მასავით მოაზრე, მისი რწმენის, მისი ბანაკისა. ესეთი იყო ფაცია. და აკი მთლად არ გაუმხელია, მაგრამ მაინც ფაცია და ტიტიკო ისე ახლოს იყვნენ სულით და აზროვნებით, ისე ხშირად, უცვლიდნენ ერთი მეორეს აზრს. ისეთი ახლო მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ, რომ აშკარაა ბოლოს შეუღლებით უნდა გათავებულებოდა მათი სათნო, დინჯი და პატიოსნური მეგობრობა. მაგრამ ეხლა კი რალაც მარცხი მოუვიდა ტიტიკოს გრძნობას. თავიდან იშორებდა, ებრძოდა სულელურად შემოქრილ გულის თქმას. იცოდა, რომ აქედან კარგი არა გამოვიდოდა-რა; იცოდა რომ მისთვის თიკო მიუწვდომელი იყო, მაგრამ რამდენათ შორს იყო მისთვის თიკო, იმდენათ უფრო მწვავე იყო მისი მდგომარეობა. აჯავრებდა ტიტიკოს ესეთი ვითარება მისი გმირობისა, აჯავრებდა ის ვარემოებაც, რომ მისი მისწრაფება გაუსხლტა ფაციას პიროვნებას. როგორ?—ფიქრობდა იგი გულში და მისი ისედაც ჩახურული ბუნება უფრო ღვარძლიანი და ბორბტი ხდებოდა.

იგი ურჩ და ჯიუტ ერკემალივით თავჩაქინდრული მიყვებოდა მკზავრებს.

სრულიად ჩამოღამდა.

ცამ აისხა ვერცხლის აბჯარი. აღმასის თვლები თითქო ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ სხივთა გამოცემაში.

ღამის ნაზი დედოფალი ჯერ კიდევ არ აჩენდა მის ნარნარ სახეს, ჯერ არ გამოეფინა მისი მყუდრო, მაგრამ მაინც წარმტაცი ნათელი.

იასონ და კიფალუქი ხელი-ხელ გაყრილნი მიდიოდნენ ყმაწვილებ შუა და მათი სხეული კრთოლვით ეკროდა ერთი-მეორეს.

რალაც ნახსა და საარაკო სიტყვებს შესწორჩულებდა იასონის ბაგე, კიფალუქის მისდამინდობით მიპყრობილ, პაწია, ეშმაკურ ყურსა.

იყო სიტყვები უცხო და უბუნებო, მაგრამ მშვენიერი და დროზე ნათქვამი ორივესთვის.

ელისაბედისთვის ხელი ჩაველო, თითქოს ყველაზე წინ ისანი მიდიოდნენ. ელისაბედი სიყვარულით დაყრდნობოდა მის სანუგეშო მკლავს.

სანდრო ფაციასთან ახლო მოდიოდა და ეტყობოდა რალაც თავისუფალ ანეკლოტებს უამბობდა, ფაცია ბევრჯერ გაექცა. ელისაბედმაც ერთი ორჯერ შესტუქსა სანდრო-რათ აწვალე ფაციასაო, მაგრამ იგი გულით ხარხარებდა და მაინც თავისას არ იშლიდა.

ზურაბი ყველაზე მოშორებით მოდიოდა და შესტქეროდა ვარსკვლავებს. უეცრად „შენ გეტრფი მარად“ შემოაუკაცანა. მისი პატარა, მაგრამ საამური ბარიტონი უცხო კილოვნებათ ათროლოდა ჰაერში.

— კარგი ხმა აქვს ზურაბს. არა, თიკო?—შეკითხა ელისაბედი.

— კარგი—მიუგო თიკომ. ისევ გაჩუმდნენ.

ზურაბი ჩავიდა „საფლავამდი“.

— რას გელაპარაკებოდა ზურაბი წელან?

— ისევ დაიწყო ელისაბედმა. თიკომ გაკვირვებით მოიბრუნა თავი დედასაკენ, მაგრამ არაფერი არ უპასუხა.

ელისაბედი მაინც არ ასვენებდა:

— რატომ არ მეტყვი, შვილო? განა არ შეიძლება ამის კითხვა? იმდენ ხანს ცალკე იყავით, განმარტოვლით, რა გქონდათ ამდენი სალაპარაკო? — დედა, შენც დაიწყე ეგები? აკი მე სრული თავისუფალი ვარ!

— ვინ გეუბნება, მაგრამ, მომიტყევე შვილო. გული ვერ მითმენს. ამიტომ ვერევი შენს საქმეში.. თორემ აბა როდის იყო... მართალი გითხრა... მგონი მითქვამს კიდევ... ზურაბი მომწონს და... თუ კი რამ სერიოზული იქმნება თქვენ შორის...

— დედა!..

— ჰო, რა გუყოთ, შვილო!.. მე ხომ მოხარული ვიქმნები შენ ნუ მომიკვდე, რომ ზურაბი კარგი ყმაწვილია.. იმას დავეთხოვოთ, რომ განათლებული კაცია და ეხლა ხან კარგ ვექილათაც ითვ-

ლება ქართველობაში... გულწრფელი ყმაწვილია, გულ-ღია, მშვენიერი...

— კარგია, დედა. არა გრცხვენია, შენც ზოგიერთ დედებრებივით მაქანკლობა დამიწყე?!

— მაქანკლობა რათა, შეილო, მაგრამ მინდა ვიცოდე... რა არის აქ ცუდი... მგონი შენც მოგწონს ზურაბი... მაშ რათ უნდა დამიძალო...

— მე არაფერს არ გიძალოვ, დედა...

— ჰო და მეც სწორედ ეგ მინდა...

ჩვენ ხომ დედა-შვილნი კი არა, ერთი-მეორის მეგობრები ვართ... ამხანაგი ქალები... ყველაც ამას არ გვეუბნება?... ჰო და მითხარი, შე-სახველო... ა? ხომ?

ზურაბმა უკანასკნელი კილო „შენ გეტრფი“-რა კობტათ აუწია და უეცრად კვლავ გაუვალი მყუდროება ჩამოვარდა. მხოლოდ მგზავრების ფეხის ხმა უხეშათ ეჭრებოდა გარინდულ არე-მარეს.

უკვე სოფლის ორღობეები იწყებოდა. ელისაბედის ძმის, ესტატე-მღვდლის სახლი რამოდენიმე ნაბიჯზე-ღა იყო. უეცრად ძაღლებმა საშინელი ყეფა მორთეს.

გაისმა მათრახის ტყლაშუნი და ჩვენს მგზავრებს სამიოდე ცხენოსანმა გვერდს ჩამოუბრინა.

სიბნელეში მაინც შეიცნეს, რომ ერთი ცხენოსანთაგანი ადგილობრივი თავადი სიმონიკა არათურელი იყო

მალე ცხენოსნების სიმღერაც შემოესმათ. მღეროდნენ: „თიკოს ვენაცვალებიო, მაცვალს უგავს თვალებიო!“

— რა უსინდისოა! — ცოტა ხმა-მალლა წამოიწყო ელისაბედმა. — რა მაგის საქმეა თიკოს სახელის ხსენება!..

ყველა მიხვდა, რომ ელისაბედი თავად სიმონიკაზე ამბობდა.

— დედა, განა ჩემს მეტს არავის ქვია თიკო? — შეხუმრებით მოინდომა უხერხულ მდგომარეობის გამოკეთება თიკომ.

— მართალია! — წარმოსთქვა სანდრომაც. — ამ ლექსს ცა და ქვეყანა იმღერის.

— დიდი მოუსვენარი კია!.. ამოიღო ხმა ფაციაშაც.

— თავადია! — ჩაურთო ყრუ და ათრთოლებული ხმით ტიტკომ. მან ყველაზე უფრო მწვავეთ იგრძნო რალაც ხელთდაუქერელი, მაგრამ მაინც შეურაცხყოფა ცხენოსნების სიმღერით.

ყველა უგუნებოთ გახდა. მხოლოდ თიკო რაღაცას მხიარულად ჩასჩურჩულებდა დედა მისს და დედაც თანდათან გამხიარულდა.

შორიდან კი მაინც მოისმოდა ცხენოსნების ლაღი სიღერა.

მოვიდნენ კიდევ სახლში.

(დანარჩენი შემდეგ).

ხელოვნება და კრიტიკა.

მ. წულუკიძე.

იყო დრო, როდესაც ხელოვნებაში საზოგადოებრივ განვითარების ტენდენციის მიხედვით, გამეფებული იყო პრინციპი: ხელოვნება ცხოვრებისათვის.

ქართული ხელოვნების ისტორიაში ეს შეხედულება ნაყოფი იყო განსაკუთრებით სამოციან და ოთხმოცდაათიან წლებისა — წლების, რომელთა დამახასიათებელ თვისებას შავი საზოგადოებრივი მუშაობა შეადგენდა.

გამოიცვალა დრო. შავი, შინაგანი ხალხოსური მუშაობა დიდებულ სოციალურ განცდათ გაიშალა, — გაიშალა და დამარცხდა იგი განცდა, ვერ იქცა სინამდვილეთ, შეუძლებელი შეიქნა მისი ფორმებში ჩამოსხმა... გაწყდა ხალხის გულის სიმი, განება ბურუსმა მოიცვა...

გამოსავალი არსაიდან სჩანდა... ცხოვრება დასმულ კითხვაზე პასუხს ვერ იძლეოდა... პიროვნება მოსცილდა სინამდვილეს და აცნებაში ცხოვრება არჩია... — ხელოვნებაში გამეფდა პრინციპი: ხელოვნება ხელოვნებისათვის.

პრინციპი: ხელოვნება ცხოვრებისათვის ნაყოფია ხალხის ცხოვრებაში იმ ხანისა, როდესაც მისი კრიტიკა და შემოქმედებრივი ძალა მიმართულია საზოგადოებრივი ძალთა განვითარება — გამოაშკარავებაზე უმთავრესად.

პრინციპი: ხელოვნება ხელოვნებისათვის ნაყოფია ამ მიდრეკილების უკანდახვეისა, რეაქციისა, საზოგადოებრივ ძალთა მოღუუნებისა.

თუ პირველ პრინციპის მათაყვანებელს უნდა ცხოვრებაში, სინამდვილეში გაითქვიფოს, აქ ეძიოს ხსნა, შველა, — მეორე პრინციპის დამცველს მთელი თავისი სულიერი მისწრაფებით სურს ამ ცხოვრებას, სინამდვილეს, ტანჯვის მომგვრელს მოსცილდეს და დავიწყება ყოველივესი თავის პიროვნების ტრანსცენდენტში მოუძებნოს.

პირველი პრინციპის გამოაშკარავება ხელოვნებაში—**ნატურალიზმი**.

მეორე—პრინციპისა—**ესთეტიური იდეალიზმი**—**მასტაგიაზმი**.

ვერც ერთი შეხედულება ჩემის აზრით, ვერ აკმაყოფილებს ნამდვილ ესთეტიურ შეხედულებას...:

როგორც ერთი ისე მეორე პრინციპი განცდაა იმ ხანებისა, როდესაც საზოგადოებრივი **ეაფანა** და **შეგნება** ერთი მეორეზე ძალიან დაშორებული არიან.

რას ჰქვიან ხელოვნება ხელოვნებისათვის? ასეთი შეხედულება ხომ ძირითად შინაგან წინააღმდეგობას წარმოადგენს?

„Не для корысти, не для битв,

Мы рождены для вдохновенья,

Для звуковъ сладкихъ и молитв.—

ეს თუ ასეა, მაშინ ხომ გიოტეს პოეზია, ლეონ ტოლსტოის შემოქმედება, ნეკრასოვის მუხა უარყოფილ უნდა იქნეს. მაგრამ, ყველამ ვიცით, რომ მათი უარყოფა, უარყოფა იქნებოდა საკაცობრიო კულტურის ერთ დიდ, ძალიან დიდ ნაწილისა. რას ნიშნავს ხელოვნება ცხოვრებისათვის, რომელიც იმ ქოთანს, რომელშიდაც მუშისათვის ლობიო იხარშება ვენერა მოლოსელის და რაფაელის მადონის მშვენიერებაზე ზევით აყენებს უკიდურესი უტილიტარული ხელოვნება? ხელოვნება ცხოვრებისათვის ხომ უარყოფს ისეთ ხელოვნებას, როგორც არიან მაგ. პუშკინი, ჰეინე, რაფაელი, ბოდლერი, ვერლენი და სხვა.

არა, ჩვენ ვერც ერთ პრინციპს ვერ მივიღებთ. უპირველეს ყოვლის ხელოვნურ ნაწარმოების კითხვის, ან ჰერტის ღ სმენის დროს ადამიანს სახეში აქვს,—უნდა ჰქონდეს, **მშვენიერება**.

შემოქმედება ხელოვანისა მშვენიერების განხორციელებაა, მისი განსახიერება. მშვენიერება იგი იქმნება **სუბიექტის** და **ობიექტის** ერთი მეორეზე გავლენით. მარტო ხელოვანი რეალობას, სინამდვილეს, ცხოვრებას მოკლებული ვერ შექმნის მშვენიერ ხელოვნურ ნაწარმოებს, ისე როგორც სინამდვილე, რეალობა პიროვნების შემოქმედებრივ ძალას მოკლებული მკვდარი მასალა, თავის თავად შეიძლება ლამაზი, მშვენიერი, სულის დამტკობი.

ხელოვნება ფოტოგრაფია არ არის;—ხელოვანის შემოქმედება, მისი ესთეტიური განცდა, თუ ის ნამდვილი მხატვარია, თავდება ამისი.

განცდა სინამდვილისა, მისი თავისად ქმნა, გრძობა-გონებაში გაერთიანება—აი რა აცისკროვნებს, ჰშობს ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს,—აი

რა ქმნის მშვენიერებას, საჭვრეტად ტკბილს, საოცნებოს...

ხელოვნება არ არის ტრანსცენდენტალური ფორმა რეალობას მოკლებულ შინაარსისა; მას აცოცხლებს, შინაარსს აძლევს უტყუარი სინამდვილე—ცხოვრება ბუნებისა—და საზოგადოებისა—ადამიანისა.

სუბიექტა—ხელოვანი, **ობიექტა** ცხოვრება—რეალობა,—აი საზღვრები მხატვრულ შემოქმედების პროცესისა, რომელიც ამიტომ უსაზღვროა, დაუსაბამო მშვენიერ ფორმებისა მშვენიერ შინაარსისათვის—აი გზა, რომლითაც მიდის მხატვარი-ხელოვანი თავის მიზნის განსახორციელებლათ—სრულქმნილების შესაქმნელად...

უსაზღვროა ობიექტი სინამდვილე, უსაზღვროა განცდა სუბიექტისა-ხელოვანისა, ამიტომ თავისუფალი და უსაზღვროა ფანტაზია, რომელიც სწორეთ აქ იბადება, და სხვიქმნილი იგი იწყებს შეუჭრებელ ნავარსა.

სრული თანხმობა სუბიექტისა და ობიექტისა, უკვეთელი მთლიანობა შინაარსისა და ფორმის, სინამდვილის და მხატვრულ შემოქმედების—აი ის ელემენტები, რომელთაგან უნდა შესდგებოდეს შინაარსი ესთეტიურ განცდისა, რომელიც, ამიტომ, ყოველ ანტიკრესს, ტენდენციას მოკლებული უნდა იყოს...

„გარემოების საყვირი,

არც მიწისა ვარ, არც ცისა“—

გვეუბნება მხატვარის ბუნებაზე ჩვენი დიდებული მგოსანი აგაგა; დიან, „გარემოების საყვირი“, ლამპარი, რომელიც ანათებს ყოველ კუნძულს ცხოვრება-სინამდვილისა—სწორეთ ასეთია ბუნება ნამდვილ ხელოვანისა. თავასუფალა **სელაფნება** და არა ხელოვნება ხელოვნებისათვის ან კიდევ ხელოვნება ცხოვრებისათვის და მისი ერთად-ერთი მიმართულება **რეალიზმი**—აი სინტეზი ადამიანის, მხატვარ-შემოქმედის გრძობა გონების მუშაობისა, ესთეტიურ განცდისა, დაუანტიკრესებელ ჰერტისა. (ჩვენდა სასინარულოდ, თანამედროვე ქართული ხელოვნება, სწორეთ ამ გზით მიდის, რაც იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ეაფანა და შეგნება თანამედროვე ქართველობისა დიდ შინაგან მუშაობას განიცდის—მუშაობის წინსვლის მომგვრელს). აქ იწყება ხელოვნების კრიატიკის სფერო

აქამდე, როგორც რუსეთში, ჩვენც არ გვქონია ასეთი კრიტიკა; მას მეცნიერული ხასიათი ჰქონდა სავსებით.

აიღეთ რუსეთის ცნობილი კრიტიკოსები: ბე-

ლინსკი, პისარევი, დობროლიუბოვი, შესანიშნავი მოაზრე ჩერნიშევსკი. ხელოვნურ ნაწარმოებში ისინი უმთავრეს ყურადღებას შინაარსს აქცევენ, იქ გამოთქმულ აზრებს, იმას, თუ რა მიმართულების არის ხელოვანი; ფორმა კი ხელოვნურ ნაწარმოების მათთვის მეორე ხარისხოვან რასმე შეადგენს, რომელზედაც ლაპარაკი მაინცა და მაინც საჭირო არ არის,

მათი კრიტიკა **სოციალადიურა**, მაშასადამე, **მეცნიერული კრიტიკაა**. ასეთივე იყო, ვიმეორებ, უკანასკნელ ხანამდე კრიტიკა ჩვენშიც—კრიტიკა კიტა აბაშიძისა, —ესრედ წოდებული „ევოლიუციონური კრიტიკა“ და ივ. გომართლისა, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ამ ბოლო დროს ორივე სხვა გზას დაადგა....

მეცნიერული კრიტიკა ვერ მიუდგება დასაფასებლად ხელოვნურ ნაწარმოებს; სადაც, როგორც უკვე ვთქვით, ფორმას და შინაარსს თანაბარი მნიშვნელობა აქვს, უნდა ჰქონდეს...

ხელოვნებას თავისი ვრიტიკა აქვს, — **კრიტიკა განცდასა**—**ესთეტიური კრიტიკაა**.

ხელოვნების კრიტიკა არ კმაყოფილდება მარტო შინაარსით, ნაწარმოებში ფაქტების აღწერის მხატვარის მიმართულებით, —მას უნდა მთლიანობა ამ შინაარსსა და მის ფორმას შუა, ის სჭვრეტს და სტკებება მხოლოდ ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებში, რადგან მას ის განიცდის... და უარყოფს იმ ნაწარმოებს, რომელიც მას ამ განცდას ვერ აგრძობინებს...

ესთეტიური კრიტიკა ეხმარება ხელოვნებას მშვენიერების განხორციელებაში, რადგან ამ კრიტიკის წარმომადგენელი თვითონ მხატვარია, თვითონ ხელოვანია იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ მას მხატვრული განცდას გაფორმება არ შეუძლია; ამიტომ ის **ხსნას** ამ განცდასა...

ოუაილდი ამბობს: „კრიტიკა თვით არის ხელოვნება... რადგან გასარჩევე ნაწარმოების მიმართ კრიტიკოსი იმავე მდგომარეობაშია, როგორც მხატვარი ფორმათა და ფერადებათა, ვნებათა და აზრთა მიმართ“...

მხატვარი-ხელოვანი და კრიტიკოს-ესთეტიკოსი ერთ და იმავე საგანს უნდა ემსახურებოდენ; ეს საგანი არის—**მშვენიერება**.

ამ მშვენიერების ძიებაშია თვით მშვენიერება—იგი პროცესია შემოქმედებისა.

„ყოველი ჩვენგანი, ამბობს დიდებული ესთეტიკოსი, ეძიებს მთელი თავისი სიცოცხლე ცხოვ-

რების საიდუმლოებას, მაშ იცოდეთ—ცხოვრების საიდუმლოება ხელოვნებაშია“.

დიახ, ცხოვრების საიდუმლოება ხელოვნებაშია, რადგან ეს უკანასკნელი გაფორმებაა პირველისა.

ხელოვნება და მისი კრიტიკა ეწევიან ერთად მძიმე მაგრამ სასიამოვნო უღელს ხელოვნების და ცხოვრების დამყარებისას!—ეწევიან და უხარიათ, რადგან იციან, რომ „მშვენიერება ყველა სიმბოლოთა სიმბოლოა“, რომ, „როდესაც მშვენიერება იხსნის თავის პირბადეს, ჩვენ წარმოგვიდგება მთელი სამყარო, მზის სხივებით განბანული“;—მშვენიერება, რომელიც განხორციელებულია ვენერა მილისელის რჩეულ ტანში, რაფაელის მადონაში, ბეთჰოვენის დიდებულ სიმფონიებში.

თბილისი, 27 მაისი 1913 წ.

ვარბი მოგზაური

(ბაირონის დაბადებიდან 125 წლ. ვაძო.)

დ. კასრაძე.

I.

ამ ასი წლის წინად, როდესაც რუსეთის ველდინდორზე საოცარის სისწრაფით გადაწყდა ბედი ნაპოლეონისა, ინგლისის სალიტერატურო ჰორიზონტზე გამოჩნდა აზროვნების ამაყი მხედართ-მთავარი, პოეზიის ნაპოლეონი —ლორდ ბაირონი. სწორედ ამ ასი წლის წინად გამოვიდა პირველი ქება მისი „ჩაილდ-ჰაროლდისა“ და ამ ერთმა ქებამ ბეთლემის ვარსკვლავსავით იწყო ბრწყინვა, თვის შარავანდედში ჩააქსოვა თავისი ამაყი შემოქმედის უკვდავი სახელი. მას აქეთ იგი დღე ერთი უდიდებულესი დღეთაგანია მსოფლიო ლიტერატურის სადღესასწაულო ფურცელთა შორის აღნიშნული.

მაღე ახალგაზდა მგოსანთ-მხედარის მწუხარე, მელანქოლით საგსე რომანტიული ჰანგები გაისმა ევროპის ყველა კუთხეში და ახალგაზდობამაც ყური სტკეიტა, თითქმის მოუფიქრებლად მიჰყვა მის ჯადოსნურ ძახილს და რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში იგი შეიქმნა მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის დაუშრეტელ შადრეენად, აზროვნების დიად მებუკეთ. მიმდინარეობა მისგან შექმნილი არის ორიგინალური გამოძახილი თანამედროვე მსოფლ-მხედველობისა, რომელიც შეგვიძლიან დავახასიათოთ ორგვარი მცნებით: ა) „ფსოფლიო მწუხარებით“ და ბ) ძლიერი პიროვნების კულტით.

ნაღვლით აღსაყვან შეხედულობა მსოფლიო მსვლელობაზე და უაღრესი რწმენა თავის-თავისადმი, ვითარცა ავტონომიურ პიროვნებისადმი, აი ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია მთელი ბაირონიზმის ფილოსოფია, ეთიკა თუ ფსიხოლოგია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ბაირონიზმი მარტოდენ „მსოფლიო მწუხარებით“ შეზღუდულიყო, ანუ უკიდურესი ინდივიდუალიზმის ქადაგებით, მაშინ მასში არავითარი ახალი არ იქნებოდა და ჩვენთვის სრულიად გაუგებარი დარჩებოდა ახალგაზღვრების სტიქიური გატაცება. მართალია, ის სამოსელი, რომლითაც ბაირონი ჰრთავს თავის გმირებს ამასთანავე დეკორაციების მთელი რიგი, სადაც ამ გმირებს ამოქმედებს, ხშირად აღებული ჰქონდა მსოფლიო სალიტერატურო საღაროდან, მაგრამ მის დემონიურს სულის კვებების ორიგინალობა უნდა ვეძებოთ მის (ბაირონიზმის) ძირითად ელემენტებში კი არა, არამედ მათს საოცარს ქსოვილებაში: ბაირონი დაამთავრა თავისი საუკუნის პესსიმისტური შეხედულობა და საოცარი დასკვნანი გამოიყვანა პიროვნების ავტონომიური კულტიდან.

„მსოფლიო მწუხარება“, როგორც ეს ვიცით ლიტერატურიდან, გამოიხატა ძლიერი პიროვნების მიერ როგორც ყველაფრის ათეოლოფუნება, მოყვარის მტრობა. ამაყი და მეტად ცივი დამოკიდებულება ადამიანთან, ეს ის დამოკიდებულება, რომელ საბოლოოდ თავისთავის უარისყოფაზედაც დააყენა თვითონ მოქმედი, მაგრამ ვერც ძველათ, ვერც ქრისტიანთა ეპოქაშია ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთს ანტი-სოციალურ შურის ძიებას ცხოვრების წინაშე, როგორც მე- XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ავტონომიურ პიროვნებას თავიანთსავე თავის საკულმინაციო პუნქტს მიაღწია. აი ეს ფილოსოფია ხელთ დაიჭირა ბაირონი და თავის გმირებს გადასცა.

ბუქმერაზ სურათებად გვეჩვენებინა მისი გმირები, რომელნიც უაღრეს განდგომილობას ჰქადაგებდნენ, დამოუკიდებლობას, ხშირად შეხედებით მათ შორის ავაზაკებს, მკვლელთ, რომელნიც თავიანთ ძალის სიმძიმის ქვეშ ისრისებინან. აქ გამოსჭვივს ბაირონის ცალი მხარე, მხარე, რომელიც გამოქაჩილად გამოისმის იმ ეპოქიდან, რომელშიაც ის დაბადდა. და მართლაც: მისი დაბადება თითქოს განგებ საფრანგეთის რევოლუციის ქარიშხალს მოჰყვა. სახელდობრ 1788 წ. ეს გრეგინის ხანა თავის მესაიდუმლეს შთაჰბერს ძლიერ სულს, ჰაბუკი მოწმე ხდება ნაპლეონის ეპოპეისა და კედება მაშინ, როდესაც ავტორიტეტობამ და ტრადიციემა გაიმარჯვეს პიროვნებაზე, რომელიც, ნაპლეონის

მზგავსათ, ყოვლად შენძლებლად რაცხადენ თავს-თვით ღმერთადაც კი. მაგრამ აი, მთელი ციკლი იმ დროინდელი პოემებისა: გიაური (1813 წ.) აბიდოსელი ქალწული (1813 წ.) მეკობარი (1813 წ.) და ლარა (1814), რომელთაც ერთურთთან დიადი კავშირი აქვთ. „გიაური“ იგი მოგვითხრობს მხევალის უბედურ სიყვარულზე, რომელიც დასჯილია სიმუნჯით, მხოლოდ იმიტომ, რომ გულს მისცა ტრფიალების ფართო საზღვარი. შემდეგ ისმის საყვარელის შურის ძიება, რომელიც ბოლოს გამოტყდება, რომ სატრფიალო ქალის დასჯას მიზნში მხოლოდ ის არის და სხვა არაფერ; „აბიდოსელი ქალწული“ მოგვითხრობს იმავ საიდუმლო სიყვარულს, რომელიც დამკირებული და გასრესილია საზარელ დესპოტიზმით; „მეკობარი“ ანუ კორსარი გვიხატავს თავისუფალ ცხოვრების ზღვარზე. „ლარა“ ეს სევდიანი სახე რაინდისა, წარმოადგენს საიდუმლო დამნაშავეს, რომელსაც წყევლა და კრულვა დაღად ასვია ზედ შუბლზე... ყველა ეს ფაბულები სხვა და სხვაა, მაგრამ მათი გმირები დემონიური პიროვნებანი, რომელნიც ამხედრებულან მოდერნისწაულე დესპოტიზმის წინააღმდეგ, რომელიც ამკირებს თავისუფლებას, ჰქილავს და მიწასთან ასწორებს ყოველ ადამიანურს ღირსებას. ვინ იცის, იქნებ ლარა სხვა საზოგადოებაში და წრეში რა უსაზღვრო მოსიყვარულე ადამიანი ყოფილიყო, დღეს კი ასე საზარელია, სწორ-უპოვარი დემონი, რომელიც ცეცხლის ლახტებით შურსა სძიობს და წყევლილი ქვეყნიერებისადმი.

„ჩვენ გვსურს ყველა ის, რასაც სხვებთან ვერ გავინაწილებთ, — ამბობს იგი კორსარის პირათ, — თვით ნეტარებაც კი ერთი დაუსრულებელი მწუხარება იქნებოდა, რომ მარტო ერთმა განიცადოს... ჩვენი მდგომარეობა წაგავს მკვდრისას, რომელსაც მატლები დაჰხვევიან და იმდენი კი აღარ შეუძლიან, რომ შეარხოს და ძირს გადმოჰფერთხოს“...

და აი, ის მოუწოდებს ყველა შეურაცხყოფილთ, რათა ძლიერნი დაამხონ. მაშ შურის ძიება დიდთა და წვრილთა, რომელნიც გვერდში არ ამოუდგებიან მას, — აი მისი დევიზი.

როგორც ვიცით, ინგლისში 1812 წ. ბევრს ქარხანა-ფაბრიკებში აჯანყება მოხდა, მუშებმა მიანგრამონარეს საწარმოო იარაღები, მანქანები და სხვა. მთავრობამ არეულობის ადგილას გაგზავნა ჯარი, ხოლო ლორდთა პალატაში შეიტანა ახალი კანონპროექტი მუშების წინააღმდეგ. არც ერთი დემონტაჟი არ გამოსარჩლებია მუშებს, მხოლოდ ბაირონი ვხედავთ, ჯერ ყრმას, რომელიც ეს-ეს არის, თავის

პოლიტიკურ კარიერას იწყებდა, ხალხის გამოქომაგებას. იგი წამოდგება თვის საფარძლიდან და სასტიკად აკრიტიკებს ლორდთა მიერ წამოყენებულს ველურ კანონ-პროექტს.

ბაირონს არც თუ შემდეგ მოუსვენია. პალატიდან გამოსვლისთანავე მისი კალამი ქარიშხალს ემზგავსება და პამფლეტი პამფლეტს მისდევს, მოშხამული სატირა ახალ სატირას. ამ მხრით ბაირონს დიახაც რომ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და იმ დროის მწერალთა შორის ვერც ერთს ვერ გვიჩვენებთ, რომელიც მას დიდებაში ეცილებოდეს, როგორც ჩინებული სატირიკოსი. არც სვიფტი, არც სტერნი, არც თუ შერდენი ვერ სძლებენ ბაირონობას და მხატვრული ფერადების გამოძებნას, რომ მაღალი საზოგადოების სიცალიერე დაეხატათ, რომელსაც მხოლოდ ერთი ქორიკანობა, გრძნობათა სიფუყე, აულაგმელი დესპოტობა და გარყენილება ავსებდა. სიახლე და განსაკუთრებული სახე ბაირონის მოტივისა ის იყო, რომ ყველა ნაწერებში მოსჩანს დაუსრულებელი სევდა, მელანხოლიის შეუკეკელი ზეწარი და გმირულ სიამაყის დემონიზმამდე აღმალლება. იმისი გონება დასცილდა ცივილიზაციის სულთა დაფვას, რომელიც ჰლამობდა ფერფლიდან აღდგომას, მაგრამ კვლავ მის წინ იშლებოდა ეჭვთა ახალი მწუხარება, რომელიც თავის თავს ერთს წყევლა-კრულვაში ნთქავდა, მწუხარე რწმენა, რომელიც კვლავ ურწმუნოების კვარცხლბეკიდან უძირო ზღვაში ინთქებოდა.

ამ ექსცენტრიულსა და ნერვიულ პიროვნებას ოჯახური განსაკუთრებული პირობები ერთი ათად აღიზიანებდნენ. ბავშობიდანვე იგი მიეჩნეოდა ობლობას, მას არ მიჰკარებია დედის აღურსი. თვითონ მშობლებიც არა ნორმალურ ხალხად არიან აღიარებული. ახლა ამას დაუმატოთ ფიზიკური უკუღმართობა-სიკოქლე, რის გამოც ბავშვები მასხარად ივლებდნენ მას, შემდეგ ნაადრევი სიყვარული, სტუდენტური აღელვებული ცხოვრება, მეტი თავისუფლება, სიამეთა სისუყე, უბედო ქორწინება და განქორწინება, შემდეგ ქორები, საზოგადოებრივი დევნა, — ყველა ერთად სევდის მანტიას უმზადებდნენ პოეტის აჯანყებულ სულს.

„ქეშმარიტებო, რად მინდოდა, რომ შენმა საზარელმა სხივმა გამომადვიდა ისეთი ცხოვრებისათვის, როგორიც ჩვენია?“ — კიბხულობს მგოსანი ჯერ კიდევ თავის სიყრმეში და ამითი თითქოს წინასწარმეტყველებს მთელს თავის ცხოვრების მოწამლულს მომავალს. დაირღვა ნეტარი სიზმარი, რომელიც აღარ განმეორდება მისთვის. ცხოვრება და მისი ოც-

ნება ერთმანეთს შეეჯახენ. იგი გარდიქნა ნაღვლიან მეოცნებეთ, სევდიან სკეპტიკად, რომლის სულიც, მისივე სიტყვით რომ ვსთქვათ, მხოლოდ „საბრალო ნაწყვეტს“ წარმოადგენდა, ნაწყვეტს დაუსრულებელი პოემისას.

ცხადია, რომ ასეთი სითამამე თავ-ალებული ქაბუკისა არავისვან იქმნებოდა შეწყნარებული. და მართლაც: დღიდან გამოსვლისა პოლიტიკურ ასპარეზზე პოეტის თავმოყვარეობას ლახავენ, ყველა დასცინის, იმასა სცილილობს, რომ მას როგორმე აწყენინოს. მაგრამ ბაირონი, როგორც ძლიერი პიროვნება, რომელიც არავითარ ავტორიტეტობას ყურს არ უგდებდა, უფრო თამამდება, უფრო მკაცრად იღესება მისი ისედაც მკვეთრი კალმის წვერი, უფრო ქარიშხლის ფრთებს ისხავს, მიდის მაღლა-მაღლა, რომ ელვის სახით მოველინოს თავის მტერ-მოგულეებს, რომელნიც მის კერძო ცხოვრების უბეშიც კი მურდალ ხელს აფათურებდნენ და ათას ცილის წამებით ქვასა და გუნდას ისროდნენ მისი სახელის მოსახუზნად. მაგრამ არავითარი დათმობა, არავითარი კომპრომისი, როგორც თვითონ პოეტი ამბობს:

„მძულს ეს ქვეყანა, ვით ვძულვარ მე მას, მის მისწრაფებას ვერა ვცემ თაყვანს, დაე, კვლავ დამგმონ, ქედს არ მოვიხრი, მეც შევაფურთხებ მათ უმზავს ყაყანს!“

ყველასაგან დევნილი, ყველასაგან შეუწყნარებელი ბაირონი თავს ობლად სთვლიდა, როგორც ჩვენი ქვეყნის მგოსანი და ბაირონის სულიერი მოძმე ნიკ. ბარათაშვილი. იგიც განიცდიდა საშინელ „სულის ობლობას“. დღითი დღე მისი მელოდიები უფრო მწუხრი მანდილით ირთვებიან და აჰა, დადგება დრო, როდესაც თავ-გასულ ლორდებს აუსრულდებათ წადილი: მათი მეტოქე, მათი დაუძინებელი მტერი დროებით ბრძოლის ველს ტოვებს და მისი სამხედრო ხომალდის აფრა უცხოეთისკენ წასასვლელად აფრიალდება:

25 აპრ. 1816 წ. ბაირონი ჰშორდება ააყვარელ ინგლისს და მკმუნვარე შუბლით ახალ ქვეყნების ქარიშხალში ახალ ხმებსა ჰკრებს ახალ პოეზიის ზღვის ასაქოთებლად.

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

„ოქროს ვერძის“ სალიტერატურო კონკურსი.

ჩვენი რედაქცია მართავს სალიტერატურო კონკურსს საუკეთესო მოთხრობაზე და ლეგენდაზე.

ფულის პრემია მოთხრობაზე იქნება დანიშნული — 60 მ.

ლეგენდაზე — — — — — 50 მ.

ფულის პრემიის გარდა დანიშნება ქებითი ფურცლები სამ-სამი მოთხრობაზე და ლეგენდაზე პირველი, მეორე, და მესამე ხარისხისა.

კონკურსის წესი.

1. მოთხრობის კონკურსში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ ბელეტრისტებმა, რომელნიც სამწერლო ასპარეზე გამოვიდნენ 1900 წლიდან.

ლეგენდის კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველამ.

2. მოთხრობა თავის ზომით არ უნდა სჭარბობდეს 1000 სტრიქონს და არ უნდა იყვეს ნაკლები 500 სტრიქონისა.

ლეგენდა მიიღება როგორც პროზით, აგრეთვე ლექსათაც დაწერილი. ზომა არ განისაზღვრება.

3. არც მოთხრობა და არც ლეგენდა არსად არ უნდა იყვეს დაბეჭდილი.

4. საკონკურსო მასალა გამოიგზავნება „ოქროს ვერძის“ რედაქციის სახელობაზე დაბეჭდილ კონვერტში, რომელსაც ზევიდან უნდა ეწეროს რამე დევიზი. მეორე კონვერტზე, რომელშიდაც იქნება აღნიშნული ვინაობა ავტორისა, იგივე დევიზი უნდა იყვეს წარწერილი.

5. უკანასკნელი ვადა საკონკურსო მასალის წარმოდგენისა არის 1 ენკენისთვე. ამ დღის შემდეგ რედაქცია უარყოფს გამოგზავნილ მასალას.

6. დაჯილდოება მოხდება ქუთაისის თეატრში საზოგადოების თანდასწრებით. დაჯილდოების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

7. დაჯილდოებული მოთხრობები და ლენგედები „ოქროს ვერძში“ იქნება დასტამბული, ავტორების სურათებთან და ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად.

8. რედაქცია დანიშნავს აგრეთვე ეგრედწოდებულ ხელის მომწერთა პრემიას. ავტორი, რომელსაც ყველაზე მეტი ხმა მოუვა ხელის მომწერლებისაგან, საჩუქრად მიიღებს ქართველიშვილის მიერ გამოცემულ „ფხვის-ტყაოსანს“.

9. ქიურის წევრები კონკურსში ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

ქიურში მოწვეული იქნებიან ჩვენი გამოჩენილი ლიტერატორები, კრიტიკოსები და აგრეთვე პრესის წარმომადგენელი.

„ოქროს ვერძი“-ს ქრონიკა.

— ჩვენი შურნალი შეუღდა შოთა რუსთაველის ნუმერის მზადებას.

— ვატკანში, ნიკოლოზ 5 კახელაში, აღმოჩინეს მშვენივრათ შენახული ფრესკები გამოჩენილ მხატვრის ფრა ანუელიკოსი.

— გაბრიელ დ' ანუნციომ დასწერა ახალი დრამა „პიხენდელა“.

— გორკის ჩვეულება. ფრანგულ კახეთ „რადიკალში“ მოყვანილია საინტერესო ცნობა მკისიმ გორკის ჩვეულებაზე. თურმე ნიჭიერი მწერალი სხვადასხვა ფსიხოლოგიურ განცდას, სხვადასხვა მეღნით აღნიშნავს ქაღალდზე. მაგალითად ჰაფთისის და მომუტუბული გრძობის გამოსატყა ქაღალდზე მხოლოდ წითელი მეღნით შეუძლია.

— მისიში ვ. კოროლენკის 60 წელი შეუსრულდა.

— მოსკოველ ჟურნალ „ვეს მირ“-ში მოთავსებულია სურათები ჩვენი ნიჭიერ რეჟისორის ვ. შალიკაშვილის, ჯავახიშვილის ქალისა და ი. ზარდალიშვილისა. ჟურნალში მოყვანილია შალიკაშვილის სუბანი ქართულ თეატრზე.

— ქუთაისის დასის რეჟისორა მ. ქიორელი მიიწვიეს თბილისის ქართულ თეატრში მომავალ სეზონის რეჟისორად. თბილისშივე მიიწვიეს ნ. ჩხეიძის ასული.

— ჩვენი თანამემამულე კ. მარჯანიშვილი მიწვეულია მთავარ რეჟისორათ მოსკოვში ახლად დაარსებულ „თავისუფალ თეატრში“.

— ზეტრბურგში ასენებენ „ხელოვნებათა სასახლეს“ რომელშიდაც იქმნება მოწოდებელი დიდი მუზეუმი.

— რუსმა მწერალმა ა. კუბრაინმა დამთავრა თავისი მოთხრობა „ჩეჩენი“, რომელიც „ხემალი“-ს უახლოვეს ნუმერში იქმნება დაბეჭდილი.

— ხოლანეთის ცნობილმა მწერალმა კაზიმირ ტეტმაიერმა დასწერა ახალი რომანი, სადაც სხვათა შორის, ეხება ხოლანელების და ებრაელების უთიერთობას.

— ქალაქ სტრასბურგში გამოიცა გუსტა ბრიობარის გამოკვლევა „დეკამერონის წყაროება—ბოკაჩო“ სადაც კვლევარა ამტკიცებს, რა ბოკაჩოს ნოველების შინაარსი მთლათ ხალხის ზეპირ სიტყვებიდან არის აღებული, მხოლოდ ფორმა ბოკაჩოსია.

— როგორც გადმოგვცემენ ჭიათურაში და ზესტაფონში მრავალი ხალხი დასწრება გრ. რობაქიძის ლექციას.

— ქუთაისში რობაქიძე ლექციას იღია ჭავჭავაძეზე შემოდგომაზე წაიკითხავს.

— შბათს ზარველ ივნისიდან იხსნება სეზონი დ. ლანჩხუთში. სეზონის აწყობენ ავალგაზდა მსახიობნი ა. ლალუას ასული, დოდანერძისი, მურუსიძე, გუგუშვილი, ჯაბელი, სანიკიძე და სხვა...

— ქუთაისის მსახიობთა ამჟამად 1 ივნისიდან იწყებს წარმოდგენების მართვას ზრფინციაში. ზარველი წარმოდგენა გამოართება დ. ხონში.

რედაქცია კისრულობს პასუხის გაცემას ხელოვნების, ლიტერატურის და კრიტიკის საკითხებზე. ვინც საპასუხო მარკებს არ წარმოადგენს პასუხს უბრალოში მიიღებს.

აკენტების საურადღებოთ.

ჩვენ ჟურნალის გამაგრებად ვაუწყებთ, რომ ანგარიში მათ მხოლოდ ჩვენს კანცარას უნდა გაუსწორდეს.

ფოტო.

არ დაიბეჭდება:

წარმავალი ზაფხული, შვენების თაიგული და სხვა... დაჭრავს ჟამი, ანდერძი, ბულბულო, მუშას, ნუ ნუ წარვიკეთ... ახალი შვენება, ზედმეტი, მე ის მიყვარდა, მუზას ყოფნის პანგში, ოცნება იყო (ავტორს ვთხოვთ ნუ გამოგზავნის პოემას: „ამირან და პეტრიწი“), პავლე დიდიძე. არ დაიბეჭდება არც ერთი კორრესპონდენცია. ვისაც არა სურს პასუხი ფოსტით მიიღოს უნდა გამოგზავნოს საპასუხო მარკები.

შინაარსი:

- ლექსები: გრიშაშვილი, აბაშელი.
- გრ. რობაქიძე—ბარათები.
- ტ. ტაბიძე—ელვაზარი ანდრევეცისა.
- ს. კლდიაშვილი—ესკიზები.
- შალვა დადიანი—ტყვე.
- მ. წულუყიძე—ხელოვნება და კრიტიკა.
- დ. კასრაძე—ყარიბი მოგზაური.
- კონკურსი
- ქრონიკა და სხვა.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯანიანი.

გამართული ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სოლიტერატურო გაზეთ **„სახალხო გაზეთი“** წელიწადი მეოთხე. 1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა. გაზეთის 1913 წელსაც ექნება სურათებიანი დამატება.

პრეპატი

(კ ვ ი რ ა თ ბ ი თ)

წლიური ხელის მოწერნი 1913 წელის განმავლობაში

მიიღვენ



მ რ ვ ი ბ ნ ს :

1) უცხოეთის მწერლები. ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება იანვრის დასასრულს. გაზეთის ფასი; როგორც თფილისში ისე, მის გარეთ ღირს წელიწადში ისევ 8 მანეთად და 10 შ. ერთი თვით 15 შაურათ.

2) ქართველი მწერლები. ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაურიგდება ევრისთვეში.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ. 11 თ. 8 მან., 10 თ. 7 მ., 10 შ. 9 თ. 6 მან. 5 შ., 8 თ. 6 მან., 7 თ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ., 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 5 შ., 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 11 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 თ. 10 მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., მ. 4 თ. 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 2. მ., 1 თ. 1 მ., ცალკე ნუმერი ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 2 კაპ. დანართენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით.

ხელის მოწერა გამართულია. 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა, დილის 9 ს. საღ. 8 ს-დი უქმეებში დილის 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორის წერა კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქ., თავადაზნაურთა ქარვასლა. ფოშტით: Тифлисъ, Груз. гав. „Сахалхо газети“ поч. ящ. 190.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე წელიწადი მეორე

1913

იმპრეთი

ერთი წლით . . . 7 მანეთი.
 ნახევარი წლით . . . 4 მანეთი,
 ერთი თვით . . . 3 აბაზი.
 და ცალკე ნუმრის . . . 1 შაური,

სამკლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ, редакция газеты „И М Е Р Е Т И“** Василию М. Чепидзе.

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.